

ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის მოგადი პირობები

ბოლო განახლების თარიღი: 31 დეკემბერი, 2018

წინამდებარე ხელშეკრულება, ვებ-გვერდით სარგებლობის მოგადი პირობები და მოცემული სამართლებრივი მნიშვნელობის ინფორმაცია გამოიყენება შპს „ქარუ“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 439415615, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ. №140, მკუდის ქარხნის მიმდ., ელ. ფოსტა: info@caru.ge) (შემდგომში „ქარუ“) კუთვნილ ვებ-გვერდზე ლომენით: www.caru.ge (შემდგომში „ვებ-გვერდი“), და არეგულირებს ამ ვებ-გვერდის გამოყენებისგან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს. ვებ-გვერდის გამოყენებით თქვენ აცხადებთ გამოუხმობად თანხმობას, რომლითაც ეთანხმებით წინამდებარე პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის მოგად პირობებს, გთხოვთ, ნუ ისარგებლებთ ქარუს ვებ-გვერდით.

1. საქმიანობის ფორმა, შინაარსი და მიზნები

ქარუ არის ტექნოლოგიური სერვისის მიმწოდებელი კომპანია. მის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ვებ-გვერდზე შექმნილი მოთხოვნითი პლატფორმის მართვა, რომლის მეშვეობითაც ქარუ ასრულებს შუამავლის როლს. ქარუს საქმიანობის მიზანია, რომ დავალებების ან შესყიდვების განხორციელების საჭიროებების მქონე ნებისმიერი პირი -ვებ-გვერდის მომხმარებელი (შემდგომში „მომხმარებელი“) დააკავშიროს მესამე პირებთან (შემდგომში „ავტო-ასისტენტი“), რომლებიც ნებაყოფლობით განახორციელებენ მომხმარებლის მიერ მათთვის მინიჭებულ შესაბამის უფლებამოსილებას. ავტო-ასისტენტი წარმოადგენს დამოუკიდებელ/თვითდასაქმებულ პირს, რომელიც თანამშრომლობს ქარუსთან და მომხმარებლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს მომხმარებელს (წარმომადგენლობა შემდგომში წოდებული, როგორც „ავტო-ასისტენტი“) ავტოსერვისების განმახორციელებელ/ავტონაწილების გამყიდველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ავტო-ასისტენტის დროს მომხმარებლის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეულია (იხ. ხელშეკრულება დანართი 1-ს სახით). ავტო-ასისტენტის დროს ავტო-ასისტენტი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს მინიჭებული უფლებამოსილება და მომხმარებლისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე, ავტო-ასისტენტისა და ქარუს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ყველა მემო-აღნიშნულ შემთხვევაში ქარუ ასრულებს მხოლოდ შუამავლის როლს, შესაბამისად, არ შეუძლია აიღოს და არ იღებს პასუხისმგებლობას ავტო-ასისტენტზე, ავტოსერვისების განმახორციელებელი/ავტონაწილების გამყიდველი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მიწოდებული მომსახურებისა და პროდუქტის ხარისხზე.

2. ვებ-გვერდით სარგებლობა

ქარუს ვებ-გვერდზე შესვლითა და მისი გამოყენებით მომხმარებელი ნათლად აცნობიერებს და ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების დადებასა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგად პირობებს, ამასთანავე, თანხმობას აცხადებს „კონფიდენციალურობის პოლიტიკასა“ და „ქუქი პოლიტიკაზე“.

3. ვებ-გვერდით სარგებლობის წინაპირობები

ქარუს ვებ-გვერდით სარგებლობისთვის აუცილებელია მომხმარებელი აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს:

- 1) მომხმარებელი უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის ასაკს მიღწეული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ქმედუნარიანი ფიზიკური პირი ან/და იურიდიული პირი წარმოდგენილი ფიზიკურის პირით;
- 2) მომხმარებელი შეკვეთის განთავსებით ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების დადებასა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგად პირობებს.
- 3) მომხმარებელმა ვებ-გვერდზე სწორად უნდა შეავსოს ყველა სავალდებულო ველი შეკვეთის განთავსებისას.
- 4) მომხმარებელი წარმოადგენს ავტომობილის მესაკუთრეს ან/და კანონიერ მფლობელს.

მომხმარებელი ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ ქარუსთვის მიწოდებული ინფორმაცია არის სრული, სწორი და ნამდვილი, ასევე, იღებს ვალდებულებას შეკვეთის განთავსების შემდგომ მიწოდებულ მონაცემთა ცვლილებების შემთხვევაში ღრულად შეაგყობინოს ქარუს ასეთი ცვლილების განხორციელების თაობაზე. ამასთანავე, მომხმარებელი ადასტურებს, რომ არის ავტომობილის მესაკუთრე ან/და კანონიერი მფლობელი.

4. შეკვეთის განთავსება, უფლებამოსილების მინიჭება და მისი პირობები

მომხმარებელი ვებ-გვერდზე შეკვეთის განთავსებით უფლებამოსილებას ანიჭებს ქარუს შეასრულოს შუამავლის როლი მომხმარებელსა და ავტო-ასისტენცს შორის, რაც გამოიხატება შემდგომში: ქარუ მომხმარებლის შეკვეთის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის ავტო-ასისტენცს, მეორე მხრივ, შერჩეული ავტო-ასისტენცის საკონტაქტო ინფორმაციას უგზავნის მომხმარებელს მოკლევადიანი შეკვეთების სახით მომხმარებლის მიერ შეკვეთის განთავსებისას მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე და საჭიროების შემთხვევაში ასრულებს შუამავალი საკონტაქტო პირის როლს. შეკვეთის განთავსება ამავდროულად გულისხმობს ქარუს მიერ შერჩეული ავტო-ასისტენცისთვის უფლებამოსილების მინიჭებას გაუწიოს მომხმარებელს ავტო-ასისტენცის უფლებამოსილების ფარგლებს (დავალებებს) მომხმარებელი უთითებს შეკვეთის განთავსებისას შესაბამის ველში.

შეკვეთის განთავსების შემდგომ უფლებამოსილების ფარგლების ცვლილება (მათ შორის, შემლუღვის გარეშე, დავალებების ოდენობის გაზრდა/შემცირება, დავალების შესრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება) შეუძლია მომხმარებელს ნებისმიერ დროს, რაც უნდა დასტურდებოდეს ავტო-ასისტენცსა და მომხმარებელს შორის (ქარუს მიერ მათთვის დაგზავნილ საკონტაქტო ტელეფონებზე) მიმდინარე მოკლევადიანი შეცვლილებებით ან/და ავტო-ასისტენცსა და მომხმარებელს შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელზე ხელმოწერითაც მომხმარებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს ავტო-ასისტენცისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭებას.

უფლებამოსილებების ფარგლების ცვლილება მომხმარებელს არ ათავისუფლებს იმ პასუხისმგებლობისა და ნაკისრი ვალდებულებებისგან, რომლებიც გამომდინარეობენ ასეთ ცვლილებებზე ავტო-ასისტენცის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისგან.

მომხმარებლის სახელით ავტო-ასისტენცის მიერ შერჩეული მესამე პირსგან მომსახურების ან/და პროდუქტის ყიდვამდე ავტო-ასისტენცი მომხმარებელს უგზავნის მოკლევადიანი შეცვლილებას და მომხმარებლისგან დასტურის გამოთხოვნილი მოკლევადიანი შეცვლილების მიღების შემდეგ ყიდულობს ასეთ მომსახურებას ან/და პროდუქტს მომხმარებლის სახელით ავტო-ასისტენცის მიერ შერჩეული მესამე პირისგან. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი ავტო-ასისტენცის მიერ მიწოდებულ საბანკო საანგარიშსწორებო ანგარიშზე უნაღლო ანგარიშსწორების გზით რიცხავს მომსახურების ან/და პროდუქტის ნაყიდობის საფასურს ავტო-ასისტენცის მიერ შერჩეული მესამე პირისგან ყიდვის მიზნით.

მომხმარებელი პასუხისმგებელია შეკვეთის განთავსებისას ან/და მოკლევადიანი შეცვლილების სახით მითითებულ მისამართის სისწორეზე და ამით ათავისუფლებს ავტო-ასისტენცს არასწორი მისამართის მითითებით გამოწვეული დაყოვნებისგან და ნებისმიერი ზიანისგან.

5. ავტომობილის გადაცემა/დაბრუნება

საკონტაქტო ინფორმაციის გაცვლის შემდგომ ავტო-ასისტენცი მიღის მომხმარებლის მიერ მიწოდებულ მისამართზე დათქმულ დროს. მომხმარებელი საკუთარ ავტომობილს ან/და მის კანონიერ მფლობელობაში არსებულ ავტომობილს დროებით კანონიერ მფლობელობაში გადასცემს ავტო-ასისტენცს ამ უკანასკნელის მიერ ავტო-ასისტენცის მიზნით, რამდენადაც მხარეებს შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი. ასეთი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას მომხმარებელი ავტო-ასისტენცს გადასცემს ავტომობილის ტექნიკურ პასპორტს, ავტო-ასისტენცი უბრუნველყოფს მომხმარებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის ან/და ფოტოასლის გადაღებას. თუ შეთანხმებულ დროსა და ადგილას მომხმარებელი ავტო-ასისტენცის მისვლიდან 30 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება, ამ დროის გასვლის შემდგომ ავტო-ასისტენცს უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა, რის შესახებაც ის მომხმარებელს აცხადებს მოკლევადიანი შეცვლილების სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის გადასაადგილებლად საჭიროა ევაკუატორი, ავტო-ასისტენცი იძახებს ევაკუატორს, რომლის ხარჯებსაც სრულად ფარავს მომხმარებელი.

ავტო-ასისტენცი მომხმარებელს უბრუნებს ავტომობილს მომხმარებლის მიერ პირველი მოთხოვნისთანავე მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე იმ დროის გათვალისწინებით, რაც საჭიროა ავტომობილის გადასაადგილებლად და გადაადგილებისთვის მოსამზადებლად (დამილი ავტომობილის აწყობა). იმ შემთხვევაში თუ ავტომობილის გადასაადგილებლად საჭიროა ევაკუატორი, ავტო-ასისტენცი იძახებს ევაკუატორს, რომლის ხარჯებსაც სრულად ფარავს მომხმარებელი. ავტომობილის დაბრუნებისას მომხმარებელსა და ავტო-ასისტენცს

შორის ღება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელზე ხელმოწერითაც მომხმარებელი ადასტურებს, რომ ავტომობილი დაუბრუნდა სასურველ მდგომარეობაში, არ აქვს და არც მომავალში ექნება რამე სახის პრეტენზია ავტო-ასისტენცის მიმართ ავტომობილის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ასეთი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას ავტო-ასისტენტი მომხმარებელს უბრუნებს ავტომობილის ტექნიკურ პასპორტს.

ავტომობილის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ავტომობილის დაბრუნების მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე, ავტო-ასისტანსის დროს კლიენტის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეულია (იხ. ხელშეკრულება დანართი 1-ს სახით).

ავტო-ასისტანსის დროს ავტომობილის გადაადგილებისთვის საჭირო საწვავის ხარჯებს ფარავს კლიენტი.

6. ქარუსა და ავტო-ასისტენცის წარმომადგენლობის გასამრჯელო

ქარუ გასამრჯელოს გარეშე უწევს წარმომადგენლობას მომხმარებელს.

ავტო-ასისტენტი ავტო-ასისტანსისთვის მომხმარებლისგან იღებს 10 ლარს გასამრჯელოს სახით.

მომხმარებელი ავტო-ასისტენტს ავტო-ასისტანსისთვის გასამრჯელოს ურიცხავს უნაღლო ანგარიშსწორების გზით ავტო-ასისტენცის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ საბანკო საანგარიშსწორებო ანგარიშზე გადარიცხვით ავტომობილის გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერამდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

ავტო-ასისტენტი პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაჭარბების შედეგად დამდგარი ზიანისთვის, რამდენადაც ავტო-ასისტენტი მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში და ასრულებს შუამავლის როლს მომხმარებელსა და მესამე პირებს შორის მომხმარებლის მიერ განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად.

ავტო-ასისტენცის მიერ თავისი უფლებამოსილების არაკეთესინდისიერად გამოყენების შემთხვევაში ის პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე მიყენებული ზიანისთვის/ზარალისთვის ავტო-ასისტენცისა და ქარუს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ავტო-ასისტენტი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, როდესაც მოხმარებელს ზიანი მიადგა მომხმარებლის მიერ უფლებამოსილების არასწორად/შეცლომით გაცემის შედეგად.

ქარუს არ შეუძლია აიღოს და არ იღებს პასუხისმგებლობას ავტო-ასისტანსის განხორციელებაზე, ავტოსერვისების განმხორციელებელი/ავტონაწილების გამყიდველი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მიწოდებული მომსახურებისა და პროდუქტის ხარისხზე, რამდენადაც ქარუ ასრულებს მხოლოდ შუამავლის როლს მომხმარებელსა და ავტო-ასისტენტს შორის, შესაბამისად, ვებ-გვერდის გამოყენებით მომხმარებელი აცნობიერებს, რომ არ აქვს და არც მომავალში ექნება რამე სახის პრეტენზია/მოთხოვნა ქარუს მიმართ.

მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ფორს-მაჟორი

წინამდებარე ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგადი პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც წინამდებარე დოკუმენტის პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუღვერობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა;

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთ გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გაგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. კომუნიკაციის წესი

ქარუსთან კომუნიკაციისთვის მომხმარებელი იყენებს ვებ-გვერდზე მითითებულ საკონტაქტო ტელეფონს ან/და ელექტრონულ ფოსტას.

ავტო-ასისტენტთან კომუნიკაციისთვის მომხმარებელი იყენებს ქარუს მიერ ავტო-ასისტენტის დანიშნის თაობაზე მომხმარებლისთვის გაგზავნილ მოკლეტექსტური შეტყობინებაში მითითებულ ავტო-ასისტენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.

ქარუ და ავტო-ასისტენტი მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის იყენებენ მომხმარებლის მიერ განთავსებულ შეკვეთაში მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.

ქარუს, ავტო-ასისტენტისა და მომხმარებლის მიერ ერთმანეთისთვის ნებისმიერი სახის შეტყობინების გაგზავნა ხორცილდება მოკლეტექსტური შეტყობინების სახით.

10. შეკვეთის გაუქმების უფლება

მომხმარებელს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს ვებ-გვერდზე განთავსებული შეკვეთა შეკვეთაში მითითებულ დრომდე 1 საათით ადრე. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი თავისუფალია ავტო-ასისტენტისთვის წინამდებარე სარგებლობის ზოგადი პირობებით გათვალისწინებული გასაჯამრჯელის გადახდისგან. იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთაში მითითებულ

დრომდე დარჩენილია 1 საათზე ნაკლები, მომხმარებელი შეკვეთის გაუქმების მიუხედავად ვალდებულია ავტო-ასისტენცს გადაურიცხოს გასამრჯელო.

ავტო-ასისტენცს უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა თუ შეთანხმებულ დროსა და ადგილას მოხმარებული ავტო-ასისტენცის მისვლიდან 30 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება, რის შესახებაც ის მომხმარებელს აცხადებენ მოკლევადიანი შეკვეთების სახით.

ქარუს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს ნებისმიერი შეკვეთა მომხმარებლისათვის შეკვეთაზე ავტო-ასისტენცის დანიშვნის თაობაზე შეკვეთების გაგზავნამდე. ასეთ შემთხვევაში ქარუ მომხმარებელს უგზავნის მოკლევადიანი შეკვეთის გაუქმების თაობაზე.

11. ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგადი პირობების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგადი პირობები ძალაში შედის მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდის მეშვეობით შეკვეთის განთავსებისთანავე და ძალაშია ავტო-ასისტენცისა და მოხმარებელს შორის ავტომობილის უკან დაბრუნების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგადი პირობები ვადაზე წყვეტს მოქმედებას წინამდებარე დოკუმენტის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეკვეთის გაუქმებისთანავე.

12. დავის მოგვარების წესი

მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ მედიაციის ინსტიტუტს, რომელსაც მხარეები ერთობლივად შეარჩევენ. მედიაციის პროცესის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში მხარეთა შორის დავას გადაწყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მაგერიალური სამართლის საფუძველზე.

13. დასკვნითი დებულებები

ქარუ იგოვებს უფლებას მომხმარებელთა მიერ ქარუსთვის შეკვეთის განთავსებისას მიწოდებული პერსონალური მონაცემები გამოიყენოს ქარუს სარეკლამო პოლიტიკის შესაბამისად მომხმარებელთათვის სარეკლამო შეკვეთების გაგზავნის მიზნით.

მომხმარებელი ვებ-გვერდზე შეკვეთის განთავსებით ავტო-ასისტენცს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ ამ უკანასკნელმა თავად განსაზღვროს მესამე პირთა წრე, რომლებთანაც ავტო-ასისტენცი წარმოადგენს მომხმარებელს.

მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას მის მიერ შეკვეთის განთავსებისას მითითებული ნომრიდან გაგზავნილ შეკვეთებებზე და მათ შინაარსზე.

ხელშეკრულების დადებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის ზოგადი პირობების რომელიმე მუხლის/პირობის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანი დოკუმენტის ბათილობას და ასეთი ბათილი მუხლი/პირობა უნდა ჩანაცვლდეს მსგავსი შინაარსის კანონიერი მუხლით/პირობით.